მწვანე ალტერნატივა
მისამართი: თბილისი, ყიფშიძის ნა, IV სადარბ. VII სართ.
საფოსტო მისამართი: ჭავჭავაძის გამზ.№62, თბილისი, 0162
ტელ: (+995 32) 22 16 04, 22 38 74
ფაქსი: (+995 32) 22 38 74
ელ-ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

№ 04/05-101
6 აპრილი 2009

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების
მინისტრს ბატონ გოგა ხაჩიძეს

ასლი: ტელეკომპანია იმედის გენერალურ დირექტორს,
ბატონ ბიძინა ბარათაშვილს

ბატონო გოგა,

2009 წლის 4 აპრილს ტელეკომპანია "იმედის" ეთერში გავიდა გადაცემა "ოჩოს ქოხი". ამ გადაცემის მაყურებელი ცხოველთა მიმართ სისასტიკის გამოჩენისა და საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევის ფაქტების მოწმე გახდა. კადრებზე ნათლად ჩანდა, რომ ცხოველთა სამყაროს ობიექტების მოპოვება ხდებოდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 7 დეკემბრის N512 ბრძანების "ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" უხეში დარღვევით. ადგილი ჰქონდა ცხოველთა ბუნაგების და სხვა საცხოვრებელი ადგილების მოშლას და განადგურებას, ცხოველთა მოპოვებას ხაფანგებისა და მარყუჟების გამოყენებით და ა.შ. ამასთანავე, ეს კანონდარღვევები ხდებოდა ცხოველთა მიმართ სისასტიკის დემონსტრირებით და არასწორი კომენტარებით, რომლებიც შეიცავდნენ ამგვარი ქმედებების წაქეზებას.

აღმაშფოთებელია, რომ გადაცემის რეკლამისა და ტიტრების მიხედვით, გადაცემა მომზადებული იყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მხარდაჭრით. არ გვინდა დავიჯეროთ, რომ გარემოსდაცვითი უწყება, შეგნებულად ახდენს უკანონობის და რაც მთავარია, ბუნებისადმი, ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობის პროპაგანდას.

ბატონო გოგა, მომხდარის გამო კატეგორიულად მოვითხოვთ:

1. სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა ხსენებულ გადაცემაში ასახულ ფაქტებზე დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება/აღძრას საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 301-ე მუხლით (უკანონო ნადირობა).

2. იმ შემთხვევაში, თუ გადაღებები მიმდინარეობდა რომელიმე სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე, სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციამ დაუყოვნებლივ დაიწყოს პროცედურა სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიის გასაუქმებლად, სალიცენზიო პირობების უხეში დარღვევების გამო და დააკისროს გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

3. დაუყოვნებლივ იქნენ დათხოვნილი დაკავებული თანამდებობებიდან სამინისტროს ის თანამშრომლები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ამ გადაცემის მომზადებასა და ეთერში გაშვებასთან. საქართველოს ბიუჯეტიდან გარემოს დაცვისათვის გამოყოფილი თანხა არ უნდა დაიხარჯოს გარემოსდაცვითი დანაშაულის პროპაგანდაზე, თუნდაც ხელფასის სახით; მათი ვინაობა ცნობილი უნდა გახდეს საზოგადოებისათვის.

4. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ საჯაროდ მოიხადოს ბოდიში მომხდარის გამო, მათ შორის, ტელეკომპანია “იმედის” მეშვეობით.

5. ტელეკომპანია “იმედის” ხელმძღვანელობამ გააკეთოს საჯარო განმარტება ეთერში გაშვებული გადაცემის გამო და მომავალში არ დაუშვას თავისი ეთერით მსგავსი მასალის დემონსტრირება.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მხოლოდ “პიარ”-აქციები ვერ გახდიან პოპულარულს გარემოს დაცვას, თუ არ მოხდა სრულად და კანონის მთელი სიმკაცრით გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულება და საზოგადოებამ არ გააცნობიერა, რომ გარემოსდაცვითი დანაშაულიც დანაშაულია და ასეთი დანაშაულიც დასჯადია.

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი